პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 192 (5222)

1974 წ. 28 სექტემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩემპიონატმა სტარტი აიღო

თბილისში, ბადრაკის სასახლეში სტარტი აიღო მოჭადრაკე ქალთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატის ფინალმა. სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა გადაიღო, აღბეჭდილია ერთ-ერთი ტურის მიმდინარეობა.

(ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-3 გვ.).

საქართველოს პროფსაბჭოში

„კოლმეურნე“—პროფკავშირული საზოგადოება

ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების, სოფლის სპორტულ საზოგადოების საფინანსო-მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ნებაყოფლობით პროფკავშირულ-კოოპერაციულ სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნედ“ გარდაქმნის შესახებ.

ამიერიდან ნებაყოფლობითი პროფკავშირულ-კოოპერაციული სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“ ყველა მისი დაქვემდებარებით: საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოებით, სპორტნაგებობებით, სახსრებით, შტატებით, ხელფასისა და სასაქონლო ფოწდით, ინვენტარითა და აღჭურვილობით, სატრანსპორტო საშუალებებითა და ნაგებობებით საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გამგებლობაში გადავიდა.

სად და როდის?

გუშინ თბილისში სტარტი აიღო ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა არმიის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილმა საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების სპარტაკიადამ, რომელიც ტარდება დევიზით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“.

ეს, სპარტაკიადის კალენდარი:

მძლეოსნობა. 28-29 სექტემბერი. თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი.
ცურვა. 28-30 სექტემბერი. თბილისი. „ლოკომოტივის“ აუზი.
ხელბურთი. 28-30 სექტემბერი. თბილისი. კიროვის სახელობის პარკი.
ქართული ჭიდაობა. 2-4 ოქტომბერი. მცხეთა.
ფრენბურთი. 2-5 ოქტომბერი. თბილისი. „ბურევესტნიკის“ დარბაზი.
ველოსპორტი. 4-6 ოქტომბერი. ნატახტრის მიდამოები.
კალათბურთი. 5-9 ოქტომბერი. თბილისი. კიროვის სახელობის პარკი.
სასტენდო სროლა. 11-13 ოქტომბერი. ვარკეთილის სასროლეთი.
მშვილდოსნობა. 11-14 ოქტომბერი. თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი.
ნიჩბოსნობა. 11-14 ოქტომბერი. ფოთი.
სამბო. 18-20 ოქტომბერი. მცხეთა.
შეხვედრების დასაწყისი 11 და 18 ს.

კვლავ დიდოსტატურად

როგორც ვიტყობინებოდით, სოჭში ამას წინათ გაიმართა სსრ კავშირისა და ფინეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. ესპარეზობაში კვლავ ისახელა თავი ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. სანეევმა (თბილისი), რომელმაც მაღალი შედეგით (17,20 მ) ყველას აჯობა სამხტომში.

16 ოქრო და მსოფლიო რეკორდები

ტუნსა და ბერნში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატები ტყვიისა და სასტენდო სროლაში.

ტუნში პისტოლეტის სწრაფსროლაში სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა 2361 ქულა მოაგროვა და 4 ქულით აჯობა ჩეხოსლოვაკიის კოლექტივს. III ადგილზეა რუმინელთა გუნდი, რომელიც ბოლო სერიაში უარესი შედეგის გამო ჩამორჩა ვერცხლის პრიზიორს.

მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტზე (3×20) სროლაში ჩემპიონი გახდა ჰ. ზაუერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 576 ქულა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესომ — გ. ლუშნიკოვმა 574 ქულით IV ადგილი დიაკავა.

სამაგიეროდ, სსრ კავშირის სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაში დაძაბულ ბრძოლაში 2 ქულით აჯობეს ამერიკელებს, რომლებმაც 2278 ქულა მოაგროვეს. საბჭოთა ნაკრების შედეგი — 2280 ქულა — მსოფლიო რეკორდია.

ამ ვარჯიშში ქალთა შორისაც საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს — 1700 ქულა. მათ ბულგარელებს ქულა მოუგეს. სამაგიეროდ, ბულგარელებს ბადალი არ ჰყავდათ პირად შეჯიბრებაში: ა. პეტროვამ ოქრო მიიღო — 576, ხოლო ნ. შატაზოვამ ვერცხლი — 574.

ბერნში დასრულდა „გაქცეულ ტახზე“ გუნდური „ნადირობა“, აქაც სსრ კავშირის ოსტატებმა აჯობეს ყველას — 1527 ქულა მოაგროვეს (მსოფლიო რეკორდი) და 52 ქულით გაუსწრეს გფრ-ის კოლექტივს. III ადგილზეა აშშ-ს ნაკრები — 1466.

მერე ჩატარდა „გაქცეულ ტახზე“ სროლა შერეული სერიებით. საბჭოთა მსროლელების უპირატესობა ამ ვარჯიშშიც აშკარა იყო — 762 ქულა. II ადგილი უნგრელებს ერგოთ (747), III — შვედებს (739).

შემდეგ მონაწილენი სხვადასხვა სისწრაფით მოძრავ „ტახს“ ესროდნენ. სსრ კავშირის წარმომადგენლებს ბადალი არც ამჯერად ჰყავდათ — პირველი 4 ადგილი მათ მოიპოვეს: გ. პოსტოიანოვმა 385 ქულა მოაგროვა (მსოფლიო რეკორდი), ა. კედიაროვმა — 384, ა. გაზოვმა — 383, ი. ფელეზნიკმა — 381. რა თქმა უნდა, მათ გუნდურ ტურნირშიც გაიმარჯვეს — 1533 (ესეც მსოფლიო რეკორდი).

გუშინწინ აქ მხოლოდ ერთი ოქროს მედალი გათამაშდა: საბრძოლო შაშხანით წოლილა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ლ. ბეშეტმა (აშშ) — 384.

ტყვიის სროლაში შეჯიბრების საერთო გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენებს 16 ოქროს მედალი აქვთ და დიდი უპირატესობით ლიდერობენ.

ჯერჯერობით ცუდად გამოდიან სსრ კავშირის მესტენდურეები. ვაჟებმა ადგილიდან გუნდური ტურნირი უკვე დამთავრეს. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: საფრანგეთი (578), იტალია (577), აშშ (571).

პირადი პირველობა მოიგო კარევამ (საფრანგეთი) —199 ქულა 200-დან. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან იტალიელები როსეტი და ბაზანი — 195-195. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესოა ანდროშკინი (VIII ადგილი, 193 ქულა).

ამ ვარჯიშში ქალების პირადი პირველობაც დასრულდა. ჩემპიონია კანადელი ნეტრისი — 143 ქულა 150-დან.

სტუმრად მოსკოვში

24 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საკავშირო სპორტკომიტეტის მოწვევით მოსკოვს თეირანიდან ესტუმრა ირანის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, სოკ-ის წევრი, პრინცი გოლიამ რეზა ფეჰლევი.

შერემეტიევოს აეროდრომზე სტუმარს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ფ. ვიორგაძე, საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი და სხვა ოფიციალური პირები.

„სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე

გრძელდება ჰოკეისტთა გუნდების ტრადიციული გათამაშება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. აი, მატჩების შედეგები:

ლენინგრადი. ასკ (ლენინგრადი) — ასკ (მოსკოვის სამხედრო ოლქი) 6:1, „შტორმი“ (ლენინგრადი) — აიფ ტენგსრიუდი“ (შვეცია) 4:4.

პიზა. „დინამო“ (ბერლინი) — რუბინეთის ნაკრები 4:1.

რიგა. „მოლოტი“ (პერმი) — „კრისტალი“ (სარატოვი) 4:3, „დინამო“ (რიგა) — „ლატვია ბერსი“ 11:3.

მინსკი. „ტორპედო“ (გორკი) — „სიბირი“ (ნოვოსიბირსკი) 8:3, „დინამო“ (მოსკოვი) — „სალავატ იულაევი“ (უფა) 6:1.

საკდესი მოგვითხრობს

ჩვენს ძოძაო ★ ბაკურიანში

მოგზაურობა ამერიკაში შინიდან გაუსვლელად

50 ამერიკული შტატი შემოიარა ბაქოელმა ინჟინერ-ეკონომისტმა ს. შუსტერმანმა ისე, რომ საკუთარი ბინიდან არც გასულა. ამაში მას დაეხმარა მძლავრი მოკლეტალღიანი სადგური, რომელიც თვითონვე შექმნა და შინ დააყენა. აშშ-ს 50 შტატის რადიომოყვარულებთან მრავალწლიანი და აქტიური ორმხრივი კავშირისთვის შუსტერმანს გადასცეს ამერიკის რადიოელეფური ლიგის დიპლომი. თითქმის ყველა ამერიკელმა რადიოკორესპონდენტმა აქო ბაქოელის გადაცემის სიგნალების ხარისხი.

ბაქოსა-დოსაფის რადიოკლუბის უძველესი წევრის მრავალრიცხოვან კოლექციაში ესაა რიცხვით 31-ე საპატიო დიპლომი. თავის გატაცებას შუსტერმანმა ნახევარი საუკუნე დუთმო. მან მარტივი სამოყვარულო რადიოსადგურების კონსტრუირებით დაიწყო. ახლა კი ვეტერანის, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრის, სპორტის ოსტატ შუსტერმანის ანგარიშზეა რთული გადამცემები და მიმღებები, სხვა რადიოტექნიკური ხელსაწყოები. ბევრი მათგანის ნახვა შეიძლებოდა რადიომოყვარულთა შემოქმედების რესპუბლიკურ გამოფენებზე და ბევრ მათგანს ათობით დიპლომი აქვს დამსახურებული.

ჩვენს პლანეტაზე, ალბათ, ვერ მონახავთ კუთხეს, რომლის ეთერში არ არის ნამყოფი ბაქოელი. ამას მოწმობს 25 ათასი ნარეფერადი ღია ბარათი, რაც ასაბუთებს მტკიცე კავშირის დამყარებას ათობით ქვეყნის რადიომოყვარულებთან.

მრავალი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრების პრიზიორი ს. შუსტერმანი უხვად გადასცემს თავის მდიდარ გამოცდილებას აზერბაიჯანის ახალგაზრდა რადიომოყვარულებს.

ბაქო.

ვ. მოროზკოვი.

ᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ

წარსულში ცნობილი ლიტველი კალათბურთელი ალგირდას ლაურიტენასის სპორტული ნადავლების კოლექცია ოჯახურად იქცა: იგი შეივსო საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელის პრიზით, რომელიც მოსკოვიდან ჩამოიტანა ბიბეის საკავშირო შეჯიბრების მონაწილე მისმა შვილმა არუნასმა.

თავის მამას, ასევე ცენტრალურ თავდამსხმელს, ევროპის ორი ჩემპიონატის ოქროს მედალოსანს და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს, შვილმა 16 წლის ასაკში სიმაღლეში გადახტა ჯერჯერობით 2 სანტიმეტრით. ამჟამად ახალგაზრდა კალათბურთელის სიმაღლე ზუსტად 2 მეტრია.

არუნასი მეოთხე წელიწადია ვარჯიშობს. მშობლიური „კაუნასის“ გუნდმა მოსკოვის ტურნირში გაიმარჯვა, რის შემდეგ იგი საბჭოთა კავშირის ბიბეის ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს.

ვილნიუსი.

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ „ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ“

გაიმართა მრავალდღიანი ველორბოლა „ყაზახეთის მოსწავლე“. რესპუბლიკის სკოლების უძლიერესმა სპორტსმენებმა ძალა და უნარი გამოცადეს რბოლებში, რომლებიც გაიმართა ყაზახეთის დედაქალაქის ირგვლივ მდებარე ქალაქისპირა გზატკეცილებზე. ამ ძნელ ტურნირში შედიოდა რბოლების მთელი კომპლექსი — ინდივიდუალური, ჯგუფური, გუნდური.

გაიმარჯვა ჩიმკენტის ოლქის ნაკრებმა. ალმა-ათის ნორჩი ველოსიპედისტები II ადგილზე გავიდნენ.

ალმა-ათა.

ᲙᲐᲢᲐᲠᲚᲔᲑᲘ... ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

დოსაფის ნურეკის საქალაქო კომიტეტთან გაიხსნა ტაჯიკეთში პირველი კატარლების შოფრების სპორტული კურსები.

კატარლებზე შორეული მგზავრობები ტურიზმის ახალი სახეობაა, რომელიც აშვა, შეიძლება ითქვას, ზღვისპირეთის ქალაქში. ნურეკის ელოვნური ზღვის ცისფერი სივრცე 80 კილომეტრზე უფრო მეტ მანძილზეა გაწოლილი პულისანგინის ხეობაში და საწყისსნო სპორტის სახეობების თაყვანისმცემლებს იზიდავს.

დუშანბე.

№ 192 (5222) 28 სექტემბერი, შაბათი. 1974 წ. ფასი 3 კაპ.

მიზანი ნათელია: ნაკლოვანებათა გამოსწორება

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის ბიურომ განიხილა რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ რაიონში ამ მხრივ ბევრგან სერიოზული ნაკლოვანებები გვხვდება. საწარმოთა ხელძღვანელები, პირველადი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სათანადოდ არ ზრუნავენ ფიზკულტურულ კოლექტივებში მუშაობის ნორმალური პირობების შექმნისთვის.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სპორტული მოედნების მოწყობას. მარტივი ტიპის მოედნები არ გაჩნიათ ხორშისა და კოლხიდის ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობა-ქარხნებს, მეძროსეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმას, უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში, ცხაკაიას ჩაის ფაბრიკაში, ფოცხოს კიროვის, ეკის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობებში, ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში მოუვლელია არსებული მოედნები და ნაგებობები, არ გაჩნიათ საჭირო რაოდენობის სპორტინვენტარი, ფორმები. დაბალია ამ საქმეში კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების როლი. სპორტული მოედნების კეთილმოწყობისთვის არ ეწყობა შაბათობები.

რაიონში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა არ ატარებს სისტემატურ ხასიათს, ძირითადად ეწყობა მეცადინეობები, ზიდსაკოლექტივო შეჯიბრებები, სუსტად მუშაობენ სპორტული სექციები, რის გამოც ბევრი ფიზკულტურელი უფერულად გამოდის რაიონულ შეჯიბრებებში. სერიოზულ გაუმჯობესებას. მოითხოვს ფიზკულტურის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ამ საკითხზე ფიზკულტურის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ამ საკითხზე ზრ. მასწავლებლებთან ერთად ფიზკულტურული ორგანიზაციებიც ცოტა ბლანკურად ფიქრობენ. ეს ეხება ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ფასეულობანი,

კარპოვი — კორჩნოი 1:0 (4 ყაიმი)

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

მოსკოვი, 26 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მატჩის V პარტიაში მეტოქეებმა ახალინდური დაცვა გაითამაშეს. ამ სადებიუტო სისტემას I და III პარტიებში კორჩნოიმ, რომელიც თეთრებით თამაშობდა, თავი აარიდა, ინგლისური დასაწყისი ამჯობინა. ახალინდური დაცვა პოზიციური თამაშის მომასწავებელია, მაგრამ კორჩნოიმ ამჯერად იგი მძაფრი ტაქტიკური ბრძოლის გასაჩაღებლად გამოიყენა.

სადებიუტო შეხლა-შემოხლა კორჩნოის სასარგებლოდ დამთავრდა. მან უკეთესი პოზიცია და მანევრებისთვის მეტი ტერიტორია მიიღო. მე-15 სვლით კორჩნოიმ ბევრი სერიოზული მუქარა შექმნა.

კარპოვი თავდაცვის სადავო გეგმის განხორციელებას შეუდგა, თამაში ლაზიერის ფრთაზე გადაიტანა. კორჩნოიმ ცენტრში აქტიური ოპერაციების დაწყების შესაძლებლობით არ ისარგებლა და მეტოქეს კონტრთამაშის შანსი მისცა, რომელიც კარპოვმა ვერ გამოიყენა.

კორჩნოიმ იჩქარა ლაზიერების გაცვლით, სჯობდა კი იერიშის გაგრძელება 16. ლc1-ით. მაგრამ ენდშპილიც მის სასარგებლოდ გამოვიდა, განსაკუთრებით, ხარისხის შეწირვის შემდეგ.

კარპოვმა მოახლოებული საშიშროება იგრძნო, ამიტომ მოგებული ხარისხი დაუბრუნა და დაცვაც აუწყო.

პარტია გადაიდო უკიდურესობამდე დაძაბულ პოზიციაში. მეორე დღეს თამაშის განახლებისას კარპოვმა შეუპოვრად იბრძოლა მდგომარეობის გასათანაბრებლად. კორჩნოის გამსვლელი პაიკი შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვდა. ბოლოს ამ პაიკის თავიდან მოსაშორებლად კარპოვმა ხარისხი დათმო. ახალგაზრდა დიდოსტატს უაღრესად ზუსტი თამაში დასჭირდა ყაიმის მისაღწევად.

ეს პარტია, რომელიც ქვემოთ მოგვყავს, კარგად ასახავს მატჩში გაჩაღებულ მძაფრ ჭიდილს.

კორჩნოი — კარპოვი

ახალინდური დაცვა

1. c4 ∆f6 2. ∆c3 e6 3. g3 b6 4. g3 ⊘b7 5. ⊘g2 ⊘e7 6. d4 0—0 7. ლc2 c5 8. d5 ed 9. ∆g5 g6 10. ლd1 d6 11. 0—0 ∆a6 12. cd ∆c7 13. a3 ∆d7 14. ∆f3 ⊘f6 15. e4 b5 16. ⊘f4 ∆b6 17. ეe1 a5 18. ლc2 ⊘g7 19. ეad1 b4 20. ∆b1 ⊘a6 21. h4 ეe8 22. ∆g5 ∆d7 23. ∆h6 ∆h6 24. ∆:h6 ba 24. ∆:a3 ლa4 25. e5 ⊘f8 26. ლ:a4 ∆:a4 27. ed ⊘:d6 28. ⊘c1 ∆ab8 29. ∆d2 ⊘e2 30. ∆dc4 ⊘:d1 31. ⊘:d1 ეed8 32. ∆:d6 ⊘:d6 33. ∆c4 ⊘f6 34. ⊘f4 ⊘:f4 35. gf ∆:b2 36. ∆b1 a4 37. d6 ∆e6 38. ⊘d5 a3 39. ∆:a3 ∆:f4 40. ⊘f3 ∆b4 41. d7 (ჩაწერილი სვლა) ∆e6 42. ∆c2 ∆b8 43. ∆e3 ∆f8 44. ∆c4 ∆b4 45. ⊘d5 ⊘:c4 46. ⊘:e6 ∆ge7 47. ⊘:c4 ∆:c4 48. ეd1 ∆fd8 49. ∆fg3 ∆e5 50. ∆f4 ∆:d7 51. ∆fg5 ∆fe7 52. ∆fh6 ∆e5 53. ∆g:h7 ∆f3 54. ∆h1 ∆fe6 55. ∆fg7 c4 56. ∆h3 ∆e5 57. ∆a3 ∆f5 58. ∆c3 ∆fe4 59. ∆c1 ∆fd4 60. f4 ∆d3 61. ∆f1 ∆fe4 62. f5 ∆e5 63. ∆f6 ∆g4+ 64. ∆fg5 ∆e3 65. fg fg 66. ∆c1 ∆fd3 67. ∆f:g6 ∆g2. ყაიმი.

სპორტი ჩაირთო

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, გასულ ოთხშაბათს სსრ კავშირის ქალთა XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალის მონაწილენი ბრძოლას შეუდგნენ.

I ტურში მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. გიიმარჯვეს ესტონელმა მოგადრაკეებმა: სსრ კავშირის თასის მფლობელმა მ. რანიკუმ (ტალინი) დაასარცხა ახალგაზრდა მოსკოველი ე. ბახრეხი, ხოლო სსრ კავშირის სოფლის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონმა მ. სამულმა — უკრაინის ჩემპიონი ლ. მულენკო (ზოპოროჟიე). რუსეთის ფედერაციის ჩემპიონმა ა. კისლოვამ (ომსკი) ტ. მორროზოვას (ლვოვი) ხძლია.

დანარჩენი პარტიები გადაიდო, მათ შორის თბილისელთა შეხვედრები. თ. ხუციშვილი ეთამაშებოდა სსრ კავშირის ჩემპიონატის დებიუტანტს, მინსკელ ტ. კოსტინას. მძაფრი ბრძოლის შემდეგ პარტია კოსტინას უპირატესობით შეწყდა. ც. კობაიძეს ა. გრინფელდთან (კალინინგრადი) პარტიაში პაიკი აკლია, ხოლო მ. ჩიბურდანიძეს მოსკოვის ჩემპიონ ე. ფათალიბეკოვასთან უარესი პოზიცია აქვს.

II ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო პირველობაზე მინორკის საზონათშორისო ტურნირის პირველი პრიზიორის ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი) შეხვედრამ ფათალიბეკოვასთან. ბრძოლა უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა. მოსკოვის ჩემპიონმა ფიგურის შეწირვით თამაშს „ცეცხლი წაუკიდა“, კოზლოვსკაია ფხიზლად იყო, მაგრამ უეცრად შეცდა და გარდუვალი მარცხის წინაშე აღმოჩნდა. ბოლოს მან დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა.

გრინფელდმა ლამაზად სძლია ტ. პოპოვას (მოსკოვი). ბახრეხი დამარცხდა მულენკოსთან. ახალგაზრდა ტ. კოსტინამ (მინსკი) მოუგო კისლოვას.

აუღელვებელი თამაშის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ რანიკუ — ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი) და ჩიბურდანიძე — რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი).

ორი პარტია გადაიდო. შულს უპირატესობა აქვს ხუციშვილთან, ხოლო კობაიძეს — პერსპექტიული პოზიცია თ. გოლოვეისთან (მინსკი).

ტაშკენტელი ოსტატის ა. მკრტჩიანის მაგიერ ჩემპიონატში მოწვეულია ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი ტ. ფომინა (ტალინი), რომელიც ბრძოლაში III ტურიდან ჩაებმება. II ტურის გამოტოვებულ შეხვედრას სამულთან იგი გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ითამაშებს.

თ. გიორგაძე.

ხურათზე: მ. რანიკუს და ნ. მედიანიკოვას შეხვედრა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

პირველი პრიზიორი ცნობილია

სოჭში მიიწურა მ. ჩიგორინის X მემორიალი: სათამაშო მხოლოდ დასკვნითი, XV ტური დარჩა. მაგრამ პირველი პრიზიორი უკვე ცნობილია. ეს არის მოსკოველი მოჭადრაკე, დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი. 14 ტურის შემდეგ მას 10,5 ქულა დაუგროვდა, ლიდერის უახლოეს მეტოქეებს — საბჭოთა დიდოსტატებს ა. სუეტინსა და რ. ხოლმოვს კი 8-8 ქულა და თითო ვადადებული პარტია აქვთ.

XIV ტურში ცხარე თამაშის შემდეგ პოლუგაევსკი საერთაშორისო ოსტატ ვ. ცეშკოვსკის (ომსკი) დაუზავდა.

სწორად აეოსნეს

„ლელოს“ 24 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული გ. კაკაბაძის (თბილისი) ათსვლიანი ამოცანა სწორად ამოხსნეს: ლ. ბუაძემ (ამბროლაური), რ. გურულმა (ზესტაფონი, სოფ. ქვედა საკარა) და ნ. ერემაძემ (თბილისი).

ამოცანის ამოხსნა: 1. ⊘e5 ⊘c3 2. ⊘f4 ⊘d2. 3. ⊘h6+ ⊘:h6 4. ∆:h6 ∆fe7 5. ∆hf7 ∆gf6 6. g4 ∆fe7 7. g5 ∆gf8 8. g6 ∆fe7 9. g7 ∆gf6 10. g8∆×.

მწვრთნელი დარწმუნებულია, სპორტსმენები მზად არიან

ველოსიპედისტთა ყოველ საკავშირო შეჯიბრებას თბილისის ტრეკზე დამატების სახით მუდამ სალიდერო რბოლის ოსტატთა გამოსვლა ერთვის, და, როგორც წესი, ყოველი ასეთი რბოლა საკავშირო რეკორდით მთავრდება. რეკორდებს მეტწილად ადგილობრივი ველოსიპედისტები ამყარებენ და ეს არცაა გასაკვირი: სალიდერო რბოლის ცენტრმა უკვე კარგა ხანია მოსკოვიდან თბილისში გადმოინაცვლა.

თბილისის არმიის სპორტული კლუბის ველოსიპედისტების ო. პროკოპენკოსა და ვ. პოპოვის დაუსწრებელი თუ დასწრებული ბრძოლა ბოლო წლებში სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში დგას. სწორედ ამ ჭიდილში იბადება ბევრი შესანიშნავი მიღწევა, საკავშირო რეკორდი. ძნელია ამ ორი არმიელიდან რომელიმეს მიანიჭო უპირატესობა. ერთი რომ რეკორდს დაამყარებს, მეორე იმ მომენტიდან იწყებს მზადებას ახალი მიღწევის გასაუმჯობესებლად. გასაკვირი ის არის, რომ მეტოქეები არასდროს ტოვებენ ტრეკს ხელმოცარული.

აი, ახლაც, თბილისის ტრეკზე ინდივიდუალურ და ჯგუფურ რბოლებში საკავშირო ჩემპიონატის პირველ დღეს რეკორდებზე შტურმის ახალი ციკლი წამოიწყო პროკოპენკომ (ლიდერი ი. კავსაძე). გეგმა მარტივი იყო: მარათონული რბოლის პროცესში ერთბაშად ორი რეკორდი უნდა დამსობილიყო — ჯერ ერთსაათიან რბოლაში, მერე კი 100-კილომეტრიან მანძილზე.

უკვე პირველივე კილომეტრებმა ცხადყო, რომ პროკოპენკო მზად იყო ამ ძნელი ამოცანის გადასაწყვეტად. მწვრთნელის მ. ამირაგოვისა და თვით სპორტსმენის მიერ შემუშავებული გრაფიკი მათემატიკური სიზუსტით სრულდებოდა... ერთი საათის შემდეგ ყველა წამმზომმა, მათ შორის ელექტრონულმა ფიქსატორმა საკავშირო რეკორდი აღნიშნა — 83 კმ და 246,5 მ. დაემხო შარშან ამავე ტრეკზე ვ. პოპოვისა და ო. დადუნაშვილის მიერ დამყარებული რეკორდი — 80 კმ და 303 მ.

მაგრამ რბოლა არ შეწყვეტილა, ვინაიდან რეკორდების მაძიებლებს 100 კმ უნდა ჩაეთავებინათ. ერთსაათიანი რბოლის შემდეგაც პროკოპენკო ლაღად გრძნობდა თავს: მოტოციკლი და ველოსიპედი თანაბარი სიჩქარით, რიტმულად ნთქავდნენ კილომეტრებს.

100 კმ. შედეგი ამჯერადაც სარეკორდოა — 1:12.43,98. კიდევ ერთმა საკავშირო მიღწევამ შეწყვიტა არსებობა, მიღწევამ, რომელიც 8 წლის წინათ იქნა ნაჩვენები ნოგინსკში იმავე პროკოპენკოს მიერ (1:22.14,6).

ერთი დღის შემდეგ კი მოსკოველმა მ. მარკოვმა (ლიდერი ვ. ვლასოვი) დაამყარა საკავშირო რეკორდი 50 კილომეტრზე რბოლაში — 35.57,01.

პროკოპენკო, მარკოვი, პოპოვი — ეს რეალური ძალაა არა მარტო საკავშირო მასშტაბით, არამედ მსოფლიოს უმაღლესი ტიტულებისთვის ბრძოლაშიც. საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობა უკვე გაუთანაბრდა მსოფლიოს სტანდარტებს და ახლა უფრო „მალალ მატერიებზეც“ შეიძლება ფიქრი.

ვესაუბრეთ პროკოპენკოსა და პოპოვის მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს მ. ამირაგოვს:

— უკვე თამამად შეგვიძლია ვიფიქროთ მსოფლიო რეკორდების გაუჯობესებაზეც, ვინაიდან უძლიერესთა სამეული მზად არის ყველაზე ძნელი გამოცდისთვის. არ გამიკვირდება, თუ ამ დღეებში ჩვენი ველოტრეკი ახალი მსოფლიო რეკორდის ასპარეზად იქცევა, — თქვა მან.

მწვრთნელი დარწმუნებულია, სპორტსმენები მზად არიან.

ნ. ახვლედიანი.

წინსვლა

ტაშკენტი, 25 სექტემბერი. (საკადესი). მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბისა და ტაშკენტის „შეხნატის“ წყალბურთელთა გუნდები გაისად საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოვლენ. ეს უფლება მათ გუშინ აქ დამთავრებულ დასკვნითს ტურნირში მოიპოვეს, რომელშიც „ა“ კლასის პირველი ჯგუფის 6 გუნდი მონაწილეობდა.

მინსკელებს ეს საგზური პრაქტიკულად ჯერ კიდევ ტაშკენტის ტურნირის დაწყებამდე ედოთ ჯიბეში: დასკვნითი თამაშების წინ მათ 20 ქულა ჰქონდათ, მაშინ, როცა სატურნირო ცხრილში II ადგილზე მყოფ ხარკოვის „ლოკომოტივს“ — 17.

ბოლო ხუთ თამაშში მინსკელებმა 7 ქულა დააგროვეს. ლიდერები მხოლოდ ტაშკენტელებთან დამარცხდნენ (4:6). „შეხნატი“ შინ განსაკუთრებით მონდომებულად თამაშობდა და საბოლოოდ ოდნავ ჩამორჩა მინსკის გუნდს.



ქარელი

დამთავრდა რაიონის მძლეოსანთა პირად-გუნდური შეჯიბრება 12-14 წლის მოსწავლეთა შორის. პროგრამაში იყო 60 მეტრზე რბენა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს აგარელებმა.

ბ. ლურსმანაშვილი.

ბულგარელებს ვერაკვინ დაეწევა

მას შემდეგ, რაც აქტიურ სპორტს გამოთხოვა შესანიშნავი პოლონელი ძალოსანი ვ. ბაშანოვსკი, მსუუქ წონაში უმთავრესად ორი საბჭოთა ძალოსანი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მოსკოველი მ. კირეიოვი და ლვოველი პ. კოროლი იბრძვიან უმაღლესი წოდებებისთვის. შინაურ, საკავშირო სარბიელზე ხომ ამ ორი ათლეტის ჭიდილი მსოფლიო და საკავშირო რეკორდების დაბადების დღედ იქცევა ხოლმე. ასე იყო თბილისის საკავშირო ჩემპიონატში, როცა მოსკოველმა და ლვოველმა ერთნაირი კილოგრამები დააგროვეს და გამარჯვებული პირადმა წონამ დაასასვლა.

ძალოსნობის მოყვარულები მათგან ასეთივე ბრძოლას მოელოდნენ ფილიპინების დედაქალაქ მანილაში, მაგრამ... ბრძოლა არ შედგა, არ შედგა მიუხედავად იმისა, რომ ორივე საბჭოთა ძალოსანი შესანიშნავ ფორმაში იყო. საოცარი სხვაა: შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ ვერც ერთ საბჭოთა ათლეტს ჩასათვლელი ქულები ვერ მიეღო. ზემოთქმული უფრო ნაოლი რომ გახდეს, განვმარტავთ: ატაცში საწყისი წონა (130 კგ) კირეიოვმა ვერ დაძლია, ხოლო კოროლს ეს წონა მხოლოდ მესამე ცდაზე დამორჩილდა. და ეს მაშინ, როცა სწორედ ამ მოძრაობაში არიან უძლიერესები საბჭოთა ძალოსნები.

თუმცა კოროლისთვის ეს ცდა საკმარისი გამოდგა, რომ ამ წონაში ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი მოეპოვებინა. ასეთივე ძაჩვენებლები ჰქონდათ ირანელ ნ. დეჰნავის და პოლონელ ზ. კაჰმარეკს, მაგრამ ისინი კოროლზე ძმიმე აღმოჩნდნენ.

მეორე ოქროს მედალი კოროლმა აკვრაში გამარჯვებისთვის მიიღო, როცა 175 კგ დაძლია. ხელმოცარულმა კირეიოვმა 167,5 კგ დაიმორჩილა და ბრინჯაოს მცირე მედალი მოიხვეჭა.

ორჭიდის ჯამში კოროლმა 305 კგ დააგროვა და პირველად გასდა მსოფლიო ჩემპიონი. II ადგილზეა კაჰმარეკი — 302,5 კგ, ხოლო III — დეჰნავი — 295.

ქვესაშუალო წონაში მსოფლიოს ხუთგზის, ევროპის შვიდგზისა და სსრ კავშირის ცხრაგზის ჩემპიონს ვ. კურენცოვს (მოსკოვის ოლქი) უნდა ეასპარეზა, მაგრამ საბჭოთა ხაკუბის ხელმძღვანელებმა ამ წონაში ათლეტის გამოყვანა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ბულგარელი ნ. კოლევი, რომელმაც შეიხარჩუნა მსოფლიო ჩემპიონობა. მისი შედეგია 335 კგ. მას მხარი დაუჭირეს თანამემამულე რ. რუსევმა, რომელიც გაძარჯვებულს 2,5 კგ-ით ჩამორჩა (რუსევმა მსოფლიო რეკორდი გაიმეორა ატაცში — 152,5 კგ). ბრინჯაოს მედალი პ. ენეცელმა (გდრ) მოიხვეჭა — 322,5 კგ.

მოსკოველი ვ. რიეენკოვის (საშუალო წონა) გამარჯვება თითქმის არავის ეეჭვებოდა. პირველივე მოძრაობის — ატაცის შემდეგ პროგნოზების ხისწორეში კიდევ უფრო დარწმუნდნენ, როცა რიეენკოვმა 160 კგ დაძლია. მაგრამ მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად დამატებითს ცდაზე გამოსული მოსკოველი ძალოსანი დაშავდა და შეჯიბრება ვეღარ გააგრძელა, თუმცა მსოფლიო ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი ატაცში მაინც დარჩა.

ურიეენკოვად გამარჯვება არ გასჭირვებია ბულგარელ ტ. სტოიჩევს — 350 კგ. ხასვე დარჩა მსოფლიოს ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი აკვრაში — 195 კგ. ეს ბულგარელთა ნაკრების მეოთხე ოქროს მედალია. ამას გარდა, მის აქტივში თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალია. ბულგარელებს 65 ქულა აქვთ და საეჭვოა ვინმე დაეწიოს გუნდურ ჩათვლაში.

ვერცხლის მედალი მოიხვეჭა ნორვეგიელმა ლ. იენსენმა, რომელმაც იმდენივე დააგროვა, რამდენიც გაძარჯვებულმა, მაგრამ უფრო მძიმე აღმოჩნდა. ბრინჯაო რ. მილსერს (გფრ) ხვდა — 347,5 კგ.

სსრ კავშირის ნაკრებს 21 ქულა აქვს. შეჯიბრებაში გამოვა კიდევ ხუთი საბჭოთა ათლეტი: დ. რიგერტი, ს. პოლტორაცკი (ქვემძიმე წონა), ვ. უსტიუჟინი, ი. ზაიცევი (მძიმე) და ვ. ალექსეევი (ზემძიმე). ბულგარელებს კიდევ შეუძლიათ გამოიყვანონ სამი ძალოსანი.

ა. ცეხანელი.

მაჩაიძის დარტყმა და—2:2

როტერდამი, 26 სექტემბერი. გუშინ საღამოს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგურმა მატჩმა — ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტა“ და სსრ კავშირის კლუბების ნაკრები.

ანგარიში 47-ე წუთზე გახსნა ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა სხიპერმა. 12 წუთის შემდეგ ფედოტოვმა კარგად გამოიყენა ბლოხინის მიწოდება და საპასუხო ბურთი გაიტანა. მაგრამ უმალვე როტერდამელმა ვან დერ მიუნიკმა კვლავ შეძლო თავისი გუნდის დაწინაურება.

ამ შეხვედრის ბოლო ბურთი ბლოხინის გასწვრივი გადაცემის შემდეგ გაიტანა მაჩაიძემ.

სსრ კავშირის გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჰილგული, ძოძუაშვილი, ლეშჩუკი (ლოსევი), ხუდიევი, ბეტუტლაკინი, ოლშანსკი, ანდრეასიანი, ფედოტოვი, ჰავლენკო (მაჩაიძე), ხაძიპანაგისტ (ფიოდოროვი), ბლოხინი.

კალენდარულიც, ამხანაგურიც...

ამ დღეებში გაიმართა რამდენიმე საინტერესო მატჩი.

ჰავანაში დასრულდა ჰაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი — „მეგობრობა“. ტურნირის ბოლო შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხა სსრ კავშირის გუნდი და I ადგილი დაიკავა. საბჭოთა ჰაბუკები II ადგილზე დარჩნენ. ბრისჯაოს მედლები ბულგარელებს ხვდათ.

კოპენჰაგენში უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევი ჯგუფის კოლექტივების — დანიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს ესპანელებმა — 2:1.

პრაღაში დიდძალი მაყურებელი დაესწრო ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩს. მასპინძლებმა უკეთესად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. ყველა ბურთი შესვენებამდე იქნა გატანილი.

ბრუიფი, ფოგთსი და სხვა ამბები

ბასულ ოთხშაბათს ჩვენ კიდევ ერთხელ გავხდით „მფრინავი ჰოლანდიელის“, ფეხბურთის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ოსტატის იოჰან კრუიფის საოცარი თამაშის მოწმენი. ამჯერად კრუიფთან ტელეეკრანმა შეგვაკავშირა — ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონიდან გადმოცემდნენ ევროპის ჩემპიონატის V შესარჩევი ჯგუფის მონაწილეთა მატჩს: ფინეთი — ჰოლანდია.

თუმცა ინიციატივა თავიდანვე ჰოლანდიელებმა იგდეს ხელთ, მათ ძალიან უჭირდათ მასპინძელთა მასირებული დაცვის გადალახვა, ხოლო ფინელთა საპასუხო „ჩხვლეტები“ ზოგჯერ საკმაოდ სახიფათო იყო. პირველი ბურთი სწორედ ფინელებმა გაიტანეს კუთხურის ჩამოწოდების შედეგად...

ამ გოლმა ჰოლანდიელთა თამამის გეგმაში არაფერი შეცვალა. მინდვრის შუაგულში ისევ გაუთავებელი განივი გადაცემები „კარგი ამინდის მოლოდინში“, ისევ დაყენებული, შეუმღბავი ცდები—კრუიფის იმედით ცენტრიდან გაერღვიათ მეტოქის დაცვითი ზღუდეები. ესაა, ოდნავ უმატეს ტემპს...

ცხადია, ფინელები საგანგებოდ სდარაჯობდნენ კრუიფს და ხშირად ზედმეტ „ყურადღებასაც“ იჩენდნენ მის მიმართ. ის კი თავის საქმეს აკეთებდა — უნარიანად ხელმძღვანელობდა გუნდის თამაშს, ბურთის გადაყვანა დაიწყო ფლანგებზე (სწორედ ამ მანევრმა შეიტანა გარდატეხა თამაშში), საიდანაც მასპინძელთა კარის სიახლოვეს უაძრავი უსიამოვნება შეიქმნა... მერე 18-19 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით მისმა დაბალმა ბურთმა „ბეერდი აუარა“ კედელს და კარის კუთხეში ამოჩნდა. შემდეგ კი, ერთ-ერთ მწვავე მომენტში, კარიდან ოდნავ წინ გამოსულ მეკარეს მოჰკრა თვალი და თავური დარტყმით ბურთი შაღალი ტრაექტორიით უმალ გაგზავნა კარში (გაიძარჯა ჰოლანდიის ნაკრებმა — 3:1. მეკარე ბურთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ნეესკენსმა გაიტანა).

ვუყურებდი კრუიფს და მახსენდებოდა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი — დორტმუნდი, გელზენკირჰენი, მიუნჰენი, ქალაქები, რომლის სტადიონებზეც ჰოლანდიელებმა თავიანთი შესანიშნავი თამაშით წარუშლელი კვალი დატოვეს.

იოჰან კრუიფის სახელი მსოფლიო X ჩემპიონატამდეც საკვეყნოდ იყო ცნობილი, მაგრამ ამ პირველობის მატჩებში მისი განუმეორებელი ტალანტი ახალი ძალით ამობრწყინდა. ჩვენ ვნახეთ ჭკვიანი, დაკვირვებული და სწრაფად მოაზროვნე ხელმძღვანელი საუცხო კოლექტივისა, რომლისთვისაც თითქოს არ არსებობდა ბურთის ფლობისა და მართვის რაიმე პრობლემა (ასე იყო ფინალურ მატჩამდე, მაგრამ ამაზე ქვევით).

განსაკუთრებით დამამახსოვრდა კრუიფის ორი გოლი. ერთი მან 26 ივნისს კოისპირულ წვიმაში გაიტანა არგენტინელთა კარში გელზენკირჰენის სტადიონზე. ეს იყო მეოთხე (!) გოლი კარნეველის კარში. საჯარიმო მოედანზე შექმნილი მწვავე ვითარების დროს, როცა მცველებმა და მეკარემ რამდენიმეჯერ სცადეს დაძაბული სიტუაციის განმუხტვა, ბურთი მარცხენა ფლანგზე, კუთხურის ალმიდან ცოტა მოშორებით მდგარ კრუიფს მიუგორდა, რომელმაც, არც აცია და არც აცხელა, ძლიერი დარტყმით შეეურეველივ გაგზავნა ბურთი მიზანში.

მეორე გოლი. ეს იყო მეორე გოლი ბრაზილიელთა კარში. ძაღლა შემსტარმა, ჰაერშივე დაიჭირა კარის გასწვრივ ძლიერად დარტყმული ბურთი, რაღაც მაკრატელს მსგავსი გააკეთა და... საქმე მოთავებული იყო.

მაგრამ არც ამ გოლებშია, ბოლოს და ბოლოს, საქმე: კრუიფი თავისთავად ერთ გუნდს უდრის! ეს არის ზედმიწევნით დახვეწილი, უზადო ტექნიკისა და კოორდინაციის, დაუცხრომელი ძიებისა და ნოვატორული ტაქტიკური აზროვნების მქონე ფეხბურთელი, რომელიც არა თუ გაურბის „შავ სამუშაოს“, არამედ, პირიქით, ჩემი აზრით, ზედმეტად იტვირთება ამგვარი „წვრილმანებით“.

აი, რას წერს ამ ფეხბურთელზე რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი ნ. გლებოვი: „კრუიფში გოცებს თავისი პირდაპირ ვეფხისებრი მხნეობა, რაღაცნაირი, თუ შეიძლება ითქვას, სვლის „უხმაუროობა“, მისი დაბადებით თანდაყოლილი ბუნებრიობა, ძალდაუტანლობა, კონფიდიურობა. „მფრინავი ჰოლანდიელის“ ბურთის მართვის ხელოვნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...“

...და მაინც ჰოლანდიის ეროვნული გუნდისა და კრუიფის ლაღი თამაში ჩემპიონატის ფინალურ მატჩში გფრ-ის ბრწყინვალე ნაკრების მარწუხებში მოექცა. სწორად გაგვიგეთ: სიტყვა „მარწუხი“ სულაც არ გულისხმობს დასავლეთგერმანელთა უხეშ თამაშს, უბრალოდ, ჰოლანდიელები მიუნჰენის ოლიმპიურ სტადიონის მინდორზე იმ დღეს შეხვდნენ ყველაზე ძლიერ მეტოქეს, გუნდს, რომელსაც ამ ჩემპიონატში მართლაც არ ყავდა ბადალი. ერთი სიტყვით, ჰოლანდიელები პირველად წაადგნენ ასეთ წინააღმდეგობას. გერმანელთა შეუჩერებელმა, მეთოდურად მომუშავე და შემტევმა, საუცხოოდ აწყობილმა და საიმედოდ დაზუთილმა ბანქანამ მათს თამაშს თანდათან დაუკარგა ელვარება.

კრუიფმა ფინალურ მატჩში მხოლოდ პირველივე წუთზე გამოიჩინა თავი, როცა მინდვრის ცენტრიდან პირდაპირ გასაოცარი რვიდი განახორციელა მეტოქის საჯარიმო მოედანამდე, სადაც მოცელეს...

მერე კი მისი პერსონალური დარაჯის ფოგთსის მეცადინეობით კრუიფი როგორღაც ჩრდილში მოექცა. ფოგთსი მას მჭიდედ იჭერდა, მაგრამ საგანგებოდ უხეშობისთვის არ მიუმართავს, თუმცა კრუიფს არც ასეთი სიახლოვე სიამოვნებდა. ბურთისთვის ერთ-ერთი მორიგი ორთაბრძოლის შემდეგ უკმაყოფილო იოჰანმა ასე უთხრა ფოგთსს:

— ეს რა არის?

— რა ვქნა, სხვანაირად საქმე არ გამოდის, — გაეხუმრა ფოგთსი.

კრუიფი შემდგომში თითქოს გაურბოდა აქტიური თამაშსა და შეხლა-შემოხლას, სიამოვნებით მიდიოდა კუთხურების ჩამოსაწოდებლად, თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, ასეთ მომენტებში კართან გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო თავისი გუნდისთვის.

ფოგთსმა იგრძნო კრუიფის „კაპიტულაცია“ და თავად გადავიდა შეტევთს ოპერაციებზე, ერთხელ კინაღამ გოლიც გაიტანა...

ერთი სიტყვით, დუელი: კრუიფი — ფოგთსი გერმანელი მცველის სასარგებლოდ დამთავრდა. თუმცა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში უკმაყოფილო კრუიფმა თქვა:

— ფოგთსს დღეს ფეხბურთი რომ ეთამაშა, უმჯობესი იქნებოდა.

რასან სიტყვა ჟურნალისტებზე ჩამოვარდა, მსურს გავიხსენო ის გაუთავებელი დავა, რომელიც ჩემპიონატის დღეებში და შეჯიბრების შემდეგაც იყო გაჩაღებული: ვინ არის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი? ვინ სჯობს — კრუიფი თუ ბეკენბაუერი?

ამასთან დაკავშირებით მოვიყვან ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ჰოკეის“ მთავარი რედაქტორის, ფეხბურთის შესანიშნავი სპეციალისტის ლ. ფილატოვის სიტყვებს: „ფინალის წინ საყოველთაო ყურადღება, სხვა დანარჩენის გარდა, მომართული იყო ორი სუპერვარსკვლავის — კრუიფისა და ბეკენბაუერის დუელისკენ. რომელი მათგანი აღმოჩნდება ჩემპიონატის № 1 მოთამაშე, — ასე იდგა საკითხი.

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ამჯერად ბეკენბაუერმა გაიმარჯვა. ფინალში იგი ნამდვილი ბეკენბაუერი იყო, როგორც მუდამ, მსუბუქად და ძალდაუტანებლად თამაშობდა, უშეცდომო გახლდათ როგორც კარის დაცვისას პოზიციის არჩევაში, ისე ბურთის განაწილებაში. პარტნიორებს შეეძლოთ დანდობოდნენ თავიანთს კაპიტანს, იგი რბილად და მტკიცედ ხელმძღვანელობდა თამაშს. კრუიფმა თავისი თავი ვერ იპოვა...“

თითქოს ჩემს გულში იჯდა ფილატოვი! ამ სიტყვებს მე მხოლოდ იმას დავუმატებდი: სხვა მატჩებში კრუიფის ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, ჩემზე ბეკენბაუერმა უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

დაბოლოს, გაზეთ „ლელოსთვის“ სპეციალურად გაღაღებულ და აქ წარმოდგენილ ორ სურათზე მოვახსენებთ. ზედა ფოტოზე ფინალური მატჩის ერთი „განუყრელი“ წყვილია გამოსახული — კრუიფი (მარცხნივ) და ფოგთსი. ქვედა სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მეკარემ მაიერმა ოდნავ დაასწრო კრუიფს ბურთის დაუფლება. კრუიფმა თავისი „მარცხი“ ეჭვეშ გამოხატა. მას ხომ საერთოდ ძალიან უყვარს ექსტიკულაცია!

მ. კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მიუნჰენი — თბილისი.



ტ. პრაუმოვსკის (ვარშავა) ფოტოები.



ოლიმპიადის ჩემპიონატი

ალმა-ათა, 26 სექტემბერი. საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ქაირათი“ და ლვოვის „კარპატი“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0.

თავი გამოიჩინა „კარპატის“ თავდამსხმელმა ლიხაჩოვმა: მან ჯერ მე-20 წუთზე თავად გახსნა ანგარიში, მერე კი, 81-ე წუთზე, კარგად მიაწოდა ბურთი დანილიუკს, რომელმაც მეორედ აიღო მასპინძელთა კარი.

„თავი გამოიჩინა“ ალმაათელთა კაპიტანმა ბაიშაკოვმაც: უხეში თამაშისთვის მან გაფრთხილება მიიღო.



გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 28 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	23	11	10	2	35—13	32
„ჩერნომ.“	23	9	9	5	31—25	27
„ტორპედო“	23	10	6	7	28—21	26
„შახტიორი“	23	9	10	5	30—24	26
„სპარტაკი“	23	9	8	6	22—19	26
„დინამო“ (მოსკოვი)	23	8	9	6	34—24	25
„ზენიტი“	23	6	13	4	27—29	25
„არარატი“	22	8	7	7	24—20	23
„დნეპრი“	23	7	9	7	19—24	23
„ფახთაქორი“	22	6	8	8	32—35	20
„ქაირათი“	23	6	8	9	31—35	20
ცსკა	23	6	8	9	24—28	20
„დინამო“ (თბილისი)	23	5	10	8	18—28	20
„კარპატი“	21	4	10	7	19—21	18
„ზარია“	23	5	8	10	24—36	18
„ნისტრუ“	23	4	7	12	27—43	15

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

29 სექტემბერს

რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე

გაიმართება ფიზკულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი: **„მეტალურგი“** (რუსთავი) — **„ინსტრუმენტალური“** (ფრუნზე).

დასაწყისი 16 ს.



ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 29 სექტემბერი. „ინნის“ სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭორი). დასაწყისი 16 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი). 16 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ფე 14141